საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №59

2020წ. "27" 03

ქ.თბილისი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებელთა განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 20 დეკემბერს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №18920/01-06-03 (ცენტრში რეგისტრაციის №1742363) სააკრედიტაციო განაცხადი „მასწავლებელთა განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 იანვრის №68982 ბრძანების საფუძველზე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 11 თებერვალს №173029 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 21 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 19 მარტს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 27 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ცხრა ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის 20 დეკემბრის №18920/01-06-03 (ცენტრში რეგისტრაციის №1742363) სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 27 მარტის №14 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) დაკონკრეტდეს დასაქმების სფერო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში;

ბ) ერთიანი სამაგისტრო მისაღები გამოცდა A ტიპი შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობის (2020 წლის 31 იანვრის N16/N ბრძანება) შესაბამისად;

გ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე.;

დ) რეკომენდირებულია ჩაშენებული პრაქტიკის დამატება სასწავლო კურსებში;

თავმჯდომარე

მდივანი

ე) სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;

ვ) სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისა და დაცვის წესში/დებულებაში ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად სავალდებულოდ გაიწეროს პლაგიატზე შემოწმება. ;

ზ) გაიზარდოს კომუნიკაცია მასწავლებლებსა და უნივერსიტეტს შორის. შემუშავდეს მასწავლებლების მოტივაციის გაზრდის სტრატეგიები მაგ. შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი კონფერენციები სადაც სტუდენტებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 9 თვე- 2020 წლის 28 დეკემბერი.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 27 მარტს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე — დიმიტრი გეგენავა

საბჭოს მდივანი — ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მასწავლებელთა განათლება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 18 ივნისი, №219
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	მასწავლებელთა განათლება
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასწავლებლის განათლების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0302
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, თბილისი, 0179, N11ბ, მე-3 კორპუსი.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 27 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა განსაზღვრული ვადა- 9 თვე (2020 წლის 28 დეკემბერი)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 29 მარტი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი